საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/4015
23/12/2019

4015-გ-19-03-2-201912231713

შპს „პოვერნეტს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 26 დეკემბერის ნაცვლად **2019 წლის 30 დეკემბერს,** 12:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების და „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 6 ივნისის Nგ-19-18/342 გადაწყვეტილების დარღვევის გამო, რისთვისაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გათვალისწინებულია ჯარიმა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 9000 და არა უმეტეს 90000 ლარისა (საფუძველი: კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-2211, 15.11.2019) და სამსახურებრივი ბარათი (N 19-10-2325, 02/12/2019).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 16 დეკემბერი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „პოვერნეტს“ უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-2211, 15.11.2019) და სამსახურებრივი ბარათი (N 19-10-2325, 02/12/2019) – 4 ფურც.

ნათია შოვნაძე

ადმინისტრაციის უფროსი - მ.შ.
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge